



თეატრი



საყოველ-კვირბო ლიტერატურული და მსატერობითი გასეთი.

1 დეკემბერს

გამოიცემა

№ 15

კვირაობით

1885 წელსა.

ფასი „თეატრი“-სა

წლით ხუთი (5) მანეთი. ნახევარ წლით სამი (3) მან. შეიძლება ნაწილ-ნაწილათ შემოკანა წლის ფასისა: ხელის-მოწერისათხანვე სამი (3) მანეთი, მაისში ერთი (1) მანეთი და მარიაშობის თვეშიაც ერთი (1) მანეთი ცალკე ნომერი „თეატრი“-სა ღირს სამი (3) შუური. ფასი განცხადებისა: მეორე გვერდზედ სტრუქონზე 5 კაპ. პირველზე 10 კაპ. მთელი უკანასკნელი გვერდი 20 მანეთი, პირველი 35 მანეთი.

ხელის მოწერა მაილებს:

თბილისში გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და „თეატრი“-ს რედაქციაში, ქუთაისში მძ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, გორში ს. მგალობლის შვილთან, თელავში ი. როსტომაშვილთან. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, Редакція „Театръ“.

კორესპონდენციები და საზოგადოთ ნაწერები პირ-და-პირ „თეატრის“ რედაქციაში უნდა გამოიგზავნოს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ავტორს ვერ დაუბრუნებს.

საყოველ-კვირბო ლიტერატურული და მსატერობითი გასეთი

„თეატრი“

მიიღება ხელის მოწერა 1886 წლისათვის

(წელიწადი მუარე)

პროგრამა და სივრცე გაზეთი, „თეატრი“-სა იგივე ღირებდა, რაც 1885 წ. იყო.

„თეატრი“ გამოევა კვირაში ერთხელ, კვირბოთ

ფასი „თეატრი“-სა: წლით რომდარც ქადაქის, აგრეთვე გარეშე ხელის მოწერთათვის ღირს ხუთი (5) მანეთი, ნახევარის წლით—სამი (3) მანეთი სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება „თეატრი“-ს რედაქციაში; ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.

თეატრი და მსახიობნი (აქტიორები)

მგელი, საშუალო და ახალი დროისა

(შემდეგი *)

ქალები დიდხანს არ იღებდენ მონაწილეობას წარმოდგენებში. პირველი ფრანგების მსახიობი ქალი გამოვიდა სტენაზედ გენრის მე-III-ის მეფობის დროს, მანამდის კი ჰარიუს დანში თამაშობდა იტალიელი ქალი. წარმოდგენების გამართვას ხელს აცნობდა სოღ-მე ქუჩაში მავალი ლიტანია, რომელსაც წინ მიუძღოდა

საყვირის დამკვრელა, სერჟანტები და ჰოლიციის ხინოციკები; წარმოდგენის გამართუენი მიდიოდენ შუაში ცხენებზე მსხდარნი და მათ შემდეგ მოქალაქენი. ერთი რომელიმე წარმოდგენის მოთავეთაგანი ლექსით უჩვენებდა ვისაც კი სურდა თამაშობა, გამოეცანდა თვისი თავი და მოსულიყო დასიშულს დროზე თეატრში. ამისთანა მოსიარულე ხალხის გუნდს ერქვა erg; მათ მახდებდა monstre. ეს შესდგებოდა ფეხით, ან ცხენით მოსიარულე არტისტებისგან.

გარდა მისტერიებისა მე IV სუკუნეში ადგანდენ აგრეთვე ფანსებს, ანუ „სუმოდებს“ (farces et

*) იხილე „თეატრი“ № 14.



ეროვნული
კულტურის

sotties); საფრანგეთში ამ გვარ ზიესებს თამაშობდა ორი დასი (les clares de la Basoche და les Enfants Sans-Souci). 1303 წელში ვრება de la Basoche, შემდგარი მოსამართლეების კლერკებისაგან, რომელსაც ჰქონდა მინიჭებული ნებასი, მაგრამ ესენი მაინც იძულებული იყვნენ დაეჭირათ საქმე des Confrères de la Passion-ის დასთან და შემდეგ შეერთდებოდა des Enfants Sans-Souci-ის საზოგადოებას. ეს საზოგადოება აძლევდა ჰამაგირს Confrères de la Passion-ის საზოგადოებას, რადგანაც ამ უკანასკნელს საზოგადოებას ჰქონდა განსაკუთრებული ნება დრამატული ზიესების წარმოდგენისა. Des Enfants Sans-Souci-ის საზოგადოება ვერ აყო მჭიდროთ შეკავშირებული და წარმოდგენებს მართავდა მოედნებზე და ბაზრებში; ხან-დის-ხან კი les Confrères de la Passion მიიწვევდა ხოლმე des Enfants Sans-Souci-ს დასს; ამისთანა შეერთებულს წარმოდგენებს ერქვა eux des Pois pilés. De la Basoche-ის უფრო ჰქონდა მინიჭებული მეფის ტოტი და უაპელაციოდ გადასჭრიდა ხოლმე ყველა კლერკების საჩივრებს. იმასვე ჰქონდა მინიჭებული ღერბი ცისფერი ფერით და სამი ოქროს ასოთი. Des Enfants Sans-Souci-ს საზოგადოების მოთავეს ესურა მუდამ სულელების იარაღისი უღარუნებით და კაპიშონი მორთული ორი ვირის თავით. ამ მოთავეს ეძახდნენ სულელების ბატონს (Prince des sots); მას უფლებას და სუმრობას უზიარებდა „სუმარა-დედა“ (La Mère-Sotte). მე XV საუკუნის მსახიობთა სასკლები ჩვენ არ ვიცით. მე XVI კი ესენია: ზიერ გრინგორი, მოთავე des Enfants Sans-Souci-ს საზოგადოებისა, უან დე-პონტალეზი და კლე-მან მარო. ლიუდოვიკოს მე XII და ფრანცისკოს I ძალით უყვარდათ მასვილ სიტყვიანი და კუზიანი ზონტალეზი და თავს იმისი გამბედავი სუმრობით ანთობდენ.

(შემდეგი იქნება)

მეზას



ა ვიმღეროთ, ჩემო მუზავ!
 ნუ თუ სოფლის ცრუ მშვენება?
 წარსულ, აწმყოს ცრუ იმედი!
 თუ ამ სოფლის მანქანება?

შენ არ იცი, რომ ჩვენ მღერას,
 ცრუ სოფელი არ უგდებს ყურს!

ჩვენი მღერა და სიცილი
 იმას ყველა თვითოთა შუბს.

აკი გვიბრებს, ცრუ სოფელზედ,
 ნუ ენდობით, ნურც სცემთ ხმასო,
 თორემ ნახათ მოტყუებულთ,
 სითაც უნდა გიზავსთ თავსო.

და მას აქეთ, იმის საქმე,
 არას ფერი არა მჯერა;
 თუ მაყვედრის, ისიც ამხნას,
 რაც მან ბელი დამაყრა.

ის ვიმღეროთ, ჩემო მუზავ!
 რაც რომ დასძლევს ბოროტებას,
 და იმით ნუ შევშინდებით,
 სოფელი გვიქმს მანქანებას.

მ...

* * *



ინც მიყვარდა, იგივე მიყვარს, ის არი;
 ჩემი მკვლელი, ჩემი მხსნელაც ის არი!
 მის სიყრმიდამ შევემსხველე, ის არი;
 ჩემი კენესა, ჩემი ლხენა, ისარი!

მისი სხივით კიდევ თბება ეს გული;
 მისი ტრფობა გულში მაქვს დანერგული.
 მწამს და იმას სიკვდილზე ვემონები,
 მოვეხვევი—მის მკერდს დავეკონები!

არას უდრი: არც მზეს, არცა მთვარესა,
 არც მათ სხივებს ნათელს, მოვლვარესა;
 ის სხვა არის, მნათი ამა გულისა,
 დამატკობდი, ღირსი სიყვარულისა!

აზრით, გრძნობით, ფიქრით უახლოვდები;
 მასთანა ვარ, მე მას არ მოვშორდები.
 შიმისოთ ვკენესი, გულით ელონდები!
 არ ვინალელი წავწყდები, თუ ვცხონდები!

თუ კი იმას გული აუყვავდება,
 ძვეყანაზედ ის ერთი განსხვავდება,
 სიყვარული ჩემი გაუმავრდება;
 ჩემი გულიც იმითი აჰყვავდება!

მინ დამჩაგრავს მე, იმის მომგონესა,

მისი ეშხით გავიმაგრებ ღონესა!
მაშინ მნახავს ყველა თაგ-მომწონესა,
თავი მივსცეთ მაშინ სიამოვნესა!

ჩემს მეგობართ, ძმათა, ამხანაგებსა,
წინ დაგიფენთ სიხარულის ჰანგებსა.
მაშინ ერთად ვიხალისოთ, ვილწინოთ
და მოყვასთა გულს ნათელი მივფინოთ!

გნ. ნ. ორბელიანიას

ქრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

ჩვენ ლიტერატურაზე

V

(შემაღვი*)

მადლი ღმერთს! მწერლები ბევრი გვეყვას. ამ შემთხვევაში ბედს ვერ დავედრებოთ. ბ. ბ. ი. ჭავჭავაძე, აგაგი, ფაშელი, რ. ერისთავი, გ. წერეთელი. ჭავჭავაძე, და სხვ. ეგები ისეთი პირნი არიან, რომლებიც ჩვენმა მწერლობამ ნიჭებს აღვიარა, არას ვიტყვით მიტკალებულზე ბ. ბ. გ. ერისთავზე, ნ. ბარათაშვილზე, გ. ორბელიანზე და სხვ. არას ვიტყვით არც ერთი ამ მწერლების ნიჭზე, ვინაიდან ჩვენი სტატია უამისოდაც რაღაც გაჭიანურდა. ესეც არ იუოს, იმ გვარ პირებზე, როგორც არიან შემოსხსენებულნი. განსაკუთრებით უნდა იხილოს გარდა. მათ მოღვაწეობის დაფასებას ცოტა სიტყვები არ ვუთხრა, — მცირედი შრომა არ დასჭირდება.

მაგრამ არ იქმნებოდა ურიგო კარდაგვესადა ვალი და გვეთქვა რამე შემოსხსენებულ მწერლების შემკვიდრებულზე. რასაკვირველია, იმათი სათითაოდ ჩამოთვლა ძნელია, და ამისათვის ჩვენ დაკასსელებთ ორიოდ-სამიოდეს. მაგალითებ: ბანანა, ნასარბიკე, ძღვიძელი, ი. ჯაღიანი და სხვანი ათასი. აი, ის პირები, რომლებიც კითხვით თანხანთი აზრით შემკვიდრებულნი შემოსხსენებულ პოეტებს და მწერლებს. ამ პირების შესახებ ჩვენ გაზეთის „სახელი მიმხილვის“ წოდების თანამომავრე განსჯავართ. სწორედ არ იქმნებოდა ურიგო, რომ იმათ ასე ადრე სკოლები არ დაეტოვებოდათ და ანაბანა ებუჯითებინათ. მოტკნსენებთ, მწერლობის აწევას კამ უზრგი უნდა და იმითსაკებ მომზადებულნი, ტყუილად სცდებან, რომ გა-


ზოდის მწერლობის ასპარეზობაზე. ამ პირების შესახებ შეგვიძლია შევესებოთ გავრით და მათზე განსაკუთრებით ბასის შემდგომისათვის უნდა გადავსვლოთ.

ვიძეორებთ, ჩვენი ლიტერატურა არის ნერგი. ეს ნერგი უნდა გაზუნებრეკებულ იყო ჩვენში. რამდენად გაზუნებრეკდა ამაზე მსჯელობას ვერ-ვერბობით ვერ განვგვრძობთ. მხოლოდ ვიტყვით მას, რომ სანამდის ჩვენს უზუტყან მწერლებს უფრო მაგრად ეკავთ აღმართული დრომა ლიტერატურისა, ამ სერგის გაზუნებრეკებაც კარგად და ღაზათიანად მიდიოდან. თუ ბევრი არა ცოტა მაინც სელენურად დაწერილი წიგნები გამოდიოდენ ამას წინად. მაგრამ, როგორც მოგახსენებთ, კაცი ბერდება, კაცზე უფრო ადრე შესედულებები ბერდება და ნათქვამია (უგაცრავთა ვარ ამ შედარებაზე) „ბებერ სარს მოსვერი უნდა შეაშველო“. სუბედურად ჩვენდა, იმათთანა მოსვერები, როგორც არაან ბ. ბანანა, მასთან მოხსენებულნი პირები და დანარჩენი სხვა ათასი ამითი მოგავსი, ძნელად გასწევინ უღელს.

ჩვენი მწერლები აიზარდენ რუსეთში, რუსების ლიტერატურას დიდი ზედ-გავლენა ჰქონდა ჩვენზე. ზოგიერთი ჩვენი თსულებები ცხადად მოგვარებენ რუსების პოეტების ნაწერებს. მაგალითად, ჩვენი ძვირფასი „განია ადამიანი“ გამოჩენილი გოგოლის „სტაროსელსკი ზომეშნიკებს“. ხოლო ეს მოგონება მხოლოდ მოგონებად რჩება და მითი საქმე ბოლოვდება. ჩვენ „განია ადამიანი“ ნიდაგი ქართული აქვს, შიგ ჭეშმარიტი ქართველები მოქმედებენ, იქ სურათებიც ქართულია, ცრუმარწმუნეობაც ქართულია, სმაც, ჭამაც, — ერთი სატყუით სულ ვეკლავთ. გოგოლის თსულებას კი სულ თავიდან ბოლომდე რუსული სუნი უდის. მხოლოდ გარეგნობით, ფორმით გვანან ივინი ერთმანერთს. სხანს, რომ გოგოლმა თავის „სტაროსელსკი ზომეშნიკებში“ დიდი ნაჭი გამოიხინა, სინამდვილეს ცხადად გამოხატვით, მაგრამ ბ. ი. ჭავჭავაძემ გადაჭარბა მას. შევირდმა ისტატს აჯობა.

უეჭველია, რომ ადრინდელ მწერლებს აქვთ გავლენა მკრმინდებულზე. როგორც შევირდი გაივლის თავის მსწავლებელის სკოლას და შემდეგ რამოქინიე სინის უფრო ძალა დადგება ამ სკოლაზე, გრეთვე ახალგაზდა მწერლმა, ანუ პოეტმა უნდა გაააროს სკოლა ძველი მწერლებისა და შეუხერხებელის ნაბიჯით გაემუროს წინისაკენ. ზოგიერთი მწერალი კი მიბძვით გამეოთილდება. მიბძვის და გავლენის შუა დიდი სამზღვარია. შეიძლება კაცი შენს დღეში ვერ გამოხვიდე გამოჩენილი მწერლის გავლენიდან, მაგრამ ეს მაინც არ გართმევს უფლებას შენც ორიგინალური აზრებისა იყვი.

*) იხილეთ „თეატრი“ № 14.



მიმბაძვი გი მუდამ დამოკიდებულას თაჲის ორიგინალი-
დამ. უნდა გამოტყნილი მოგასსენოთ,— ჩვენს სასაღვრად
მწერლებში მეტად გავრცელებულა მიმბაძვა და ამიტომაც
მათ აკლიათ სიტყვასწორი, ეს კიდევ ისეთი მომავლინებუ-
ლი ცოდვა არ არის, როგორც არის ლიტერატურული
ჭურჭლობა. როდესაც ჭურჭლობას ვაყვანობად რაცსვდენ.
მე ვა ამში ვაყვანობას ვერ ვსედავ, შეიძლება სერსია-
ნობა კადე უწოდოთ. და თუ როდესმე ჭურჭლობა ვა-
ყვანობად მინდათ, ალბათ იმ ნეტარ დროს არ იცოდენ
განხევას სიტყვებთა შორის: „ვაყვანობა და სერსიანობა“.
კარგი დაგემართოს თუ გი ჩვენ ლიტერატურაში, სერ-
სიანა ჭურჭლობა იყოს, მაშინ კიდევ არას ვიტყვოდით.
შეიძლება ნიჭიერი გაცი იყვე, ნაკითხი და შენს ნაწერ-
ში შემოგეპნაროს რომდენიმე აზრი, როდესმე შენგან
ამოკითხული. ეს არაფერი, ეს გეპტივება, რადგანაც
ოდესმე სხვა და სხვა წიგნებში ამოკითხული აზრები
შეგსარტყობა და ამათ თათქმის შენ გუთვნილებად გამს-
დარსნ. იმ გვარი ჭურჭლობა, როგორც გავრცელებულა
ჩვენს ლიტერატურაში სასიხლარია. ნინუშად მოვიყვან
ორს ნომერს გაზეთის „დროებისას“ მე-142 და 158.
პირველში თქვენ წაიკითხავთ ნიჭიერად და სელაქურად
გადმოთარგმნილს ლექსს ჭეინედამ ბ. ი. ბაქრაძისას.
მეორეში ნახავთ ორიგინალურ ლექსს ვილხე მ. ჯორჯა-
ძისას, ამოვიწერეთ ჯერ ბ. ი. ბაქრაძის ლექსი.

ჭეინედამ

ძილში ვსტიროდი, მე დამესიზმრა:
ვითომ შენ საფლავს იუავ მდებარე,
გამომეღვიძა და თვალებიდამ
ჩამომდიოდა ცრემლი მდულარე.

ძილში ვსტიროდი, მე დამესიზმრა:
რომ ჩემზედ გული გაცვივებოდა,
გამომეღვიძა და თვალებიდამ
დიდხანს მდულარე ცრემლი მდიოდა.

ძილში ვსტიროდი, მე დამესიზმრა:
რომ კვლავ ერთად ვართ ბედით დამტკბარი;
გამომეღვიძა... მაინც ჩემს თვალეს
ვერა შევსწევით ცრემლი მდულარი.

ი. ბაქრაძე.

არ ვიცი, მკითხველო, შენ რასა გძნობ ამ ლექ-
სის ჩაკითხვის დროს და მე გი ურუნტადივით გამიძნენს
სოდემ სიტყვებთა ძარღვებში. რა სიამართლე და სინამ-
დვილეს ამ ლექსში დამარსული. რა პოეტური გძნო-
ბა იმალება მაში. წმინდა გძნობა, გძნობა ადამიანის!

რა მშენიერი თარგმანია. თათქმით მთარგმნელის სურვილს
ჩასძრამოდეს ჭეინეს. რომდენიმე პაესა ესე სელაქურ-
ნად გადმოთარგმნილი შეგვიდგენს. ნებს ჭეშმარიტ შთა-
ბეჭდილებას გამოჩენილ მწერალზე. ესლა ამოვიწერეთ
ბ. ი. ჯორჯაძის ლექსი. ამ ლექსს სათაური არა აქვს,
მაგრამ სამი ვარსკვლავი, რომლებიც მას აწის თავსე
ცხადად გვიმტკიცებს რომ, დამწერს ორიგინალად უნდა
გაუდღას იგი.

„მიყვარხარ!“—სატრფო მეუბნებოდა,
ჩემს მხარზე ჭქონდა თავი დახრილი,
ფუნჩულ ხელებით (?) ყელს მიხვეოდა...
მე მომიდიოდა მხოლოდ ღიმილი.

„უშენოთ ერთს დღეს“ ის იძახოდა (მაღლა თუ დაბლა?)
„ვერ გავსძლებ—მიღობს მაშინ სიკვდილი“.(როდის?)
მე მომავონდა ჩვენი ბუნება (!)
და მომივიდა მხოლოდ ღიმილი.


ჩვენ ვსვირობდით, ყველა იძახდა;
„რა ღამაზია, რა მოყვანილი“!—
ჩემს სატრფოზედა, ის წითლდებოდა,
მე მომიდიოდა მხოლოდ ღიმილი.

ერთს მეგობარსა ნშირად ვხედავდი,
სატრფოს დასდევდა, ვითა აჩრდილი;—
მაგრამ იგი მზე თავს არიდებდა...
მე მომიდიოდა მხოლოდ ღიმილი.

განვლო დროებამ სატრფოს, მეგობარს
ერთად მოვასწრე ვიუავ გაცვილილი...
ორთვე შეერთენ, მე ავანავალი...
და მომივიდა მხოლოდ ღიმილი. (!!) O, Dieu!

მ. ჯორჯაძე.

იქნება ვინმე სთქვას: „რას ეძრთლებით? რით
განსხვავდება ეს ბაქოული (ლექსი ბაქოშია დაწერილი)
ჭეინე ჭეშმარიტ ჭეინესაგანო? მართალია სარ, ბატონო
მკითხველო! ლექსთა წეობა ბ. ჯორჯაძეს ბაქრაძესე
ნაკლები არა აქვს, მაგრამ ჩვენ ვლახანავობთ ლიტერა-
ტურულ ჭურჭლობაზე. ფიცით მოიხსენეთ, რომ ბ. ი.
ბაქრაძეს თავის ლექსი არ დაუბეჭდა გაზეთის „დროე-
ბის“ მე-149 №-ში, მაშინ მე 153-ში ბ. ჯორჯაძის
ლექსიც არ გამოჩნდებოდა და ამის გამო ბაქო შესა-
ნიშნავ ქალაქად არ განსდებოდა ჩვენს ლიტერატურაში.
იდეა და აზრი, რასაკვირველია, ორთვე ლექსისა ერთი
და იგივეა; ასე რომ უმთავრესი ჭეინეს ლექსიადამ გად-
მოტყნილი აქვს ბ. ი. ჯორჯაძეს. განსხვავება იმაში
მდგომარებს, რომ ჭეინე ცრემლსა ღვრის ხან მეტის
მეტი სიამოვნებით, ხან მწუხარებით. იგი ცრემლს ღვრის



როგორც შეიძლება მუდამ დრუბლიანი ჩრდილოეთისა. ჯორჯი კი სულ იღიმება. ჩვენ სრულებით არ ვაძლევთ ნებას თავს, სიამოვნება მოუსპოთ ვისმეს; ან რა საქმე გვაქვს ვისმეს დიმილთან. მაგრამ, როდესაც კაცს მოგიწადინა, შენის დიმილისადმი მიიქცია უუკრადლება მთელი საზოგადოებისა, ამით ნებას გვაძლევს ვსაჯოთ ის დიმილი თაბაუთიანია, თუ უთაბაუთო. როდესაც ამ ლექსებს კითხულობთ, — ერთს მოჭყავსართ აღტაცებაში, მას არ იშორებთ სელიდგან და ესურსთ ჩიკითხვით რამოდენჯერმე; მეორეს კი ბოლომდე არ ათავებთ, თქვენ მას უგუ-ადგებთ ზიზღით, ეს იქიდან წარმოსდგება, რომ ჯორჯის ლექსში სრულებით არ არის სინამდვილის და სელაქების ნატამალი. გრძნობას სომ სამთლითაც ვერ ვხვდებით შიგ. ეტყობა კი, რომ ჯორჯი ცდილა თავის უგრძნობობა გრძნობად გაეუიდა, მაგრამ ეს ყოვლად მოუხერხებელია. იმის ლექსში ყოველი სიტუკა სიტუკა. იმის დიმილი არის სულელისა, იდიოტისა. ჰენის ლექსში კი, როგორც ვსთქვით, თქვენ შესვლით ცრემლს დაღვრილს გადაჭარბებულის ნეტარებისაგან და ცრემლს გამოწვეულს ჭეშმარიტის მწუსარებიდან. აი ეს გასლავსთ ნაყოფი ლიტერატურული ჭურჭლისა, წარმოდგარი ჩვენი ახალ-გაზდა მწერლების უმეტარებისაგან. საუბედურად, იმ გვარ დროში ვართ, რომ სხვის ჭკუით მოსაწარება მეტად სამხელე შეიქმნა. უმჯობესია სხვის ჭკუაზე აღსარდო შენი, რათა მეკმისათვის არიგინალური მიმართულება მისცე მას. ლიტერატურული ჭურჭლის მაგალითები მჩაჯალია და იმათ თავის მოყრას ვერ ვიკისრებთ და კიდევაც რომ ვიკისრათ, ეს არ შეესება ჩვენს საგანს. ჩვენს ბასს ზრინცინალური სასიათი აქვს; ვინაიდან სშირად ზრინცინალური ბასიც მაგალითებს თსოულობს, ამიტომაც ვაჩნდა აქ ბ. ჯორჯი თავის ლექსითურთ.

რ. აღისუბნელი.

(შემდეგი იქნება)

ბოგოს ჩივილი

(ვეძღვნი ოჟ—ბე—შვილს)



ასათხოვარმა ქალმა სთქვა:
 შინ ჯდომამ დამაკუტაო,
 ნეტავ საბედოს, ჩემ საქომოს—
 საყვარელს დამაკონაო.

შდროვოდ ესტკნები უქრმობა
 მეძლევა დიდი ზიანი,
 ჩემთვის ბნელია მუდამ დღე,
 მუნდა რომ იყოს მზიანი.

რად მინდა ფიქრი, სურვილი,
 მთუ კი ვერ დავძრავ ენასა
 და ფენს სითაც კი გადავდგავ,
 მთუ ყველგნით ველი წყენასა!

მეუბნებიან: შინ იჯექ,
 მთავი არ გაჰყო კარშია;
 ჩვენ ვიცით ვისაც აგირჩევთ,
 ვისაც მოუხვალ თვალშია!

შალი ისეა კაცისთვის,
 რაც საქონელი ფურიო!
 შალმა-ლა უნდა იცოდეს
 შმარ-შვილის სამსახურიო!

მირჩევენ: ქალო, ნუ დასდევ
 შვეყნის ავსა და კარგსაო;
 მძებე ჩაცმა-დახურვა,
 სხვაფრივ ნუ იწყენ თავსაო!

ა. დ.

ფელტონი

მუჩა დაითხოვეს

თ ა ვ ი V

ცოფიანი ძაღლი. გოგია.

(შემდეგი *)

რას ფიქრობდა ამ დროს ცინის მთაზედ
 მდგომარე გოგია, არ არის მხელი ვასაკები.
 როდესაც ის იუერებოდა ქვევით და მიძინე-
 ბულს ბუნებას სედავდა, მაშინ თითქო დაიძინა
 იმისმა უკანასკნელმა იმედმაც შვილის ჰოვ-
 ნასედა; იმის მოდრუბლული მწუსარე სახე მო-
 ირწყო ცრემლით და ამ ცრემლებთან ერთად

*) იხილე „ფელტონი“ № 14.

იმან გამკეტებით უთხრა თავის თავს, რომ ის თვითონ იყო თავისი შვილის დამღუპავი. მარტო ესლა არ უფიქრია იმაზე, თუ რას შეადგენდა მისთვის გიგუა; ის ეოველთვის უყურებდა თავის შვილს, როგორც თავის სიცოცხლის მისანს და ვერას გსით ვერ უსწინდა, თავის თავს იმას, თუ რა მიხესით აქცევდა აქამდის ასე ცოტა უზრუნველს თავის ერთადერთს საუნჯეს. შეშინებული ათას-ნაირი ერთმანერთს უფრო ცუდი აზრებით, ის ევედრებოდა სეციერ გამჩენს დაებრუნებინა იმისთვის თავისი შვილი და მსურვალედ ფიცულობდა, რომ თავის დღეში აღარ გახდებოდა იმისი ამ კვარი ტანჯვის მიხესი.

კარგი ხანი იდგა გოგია გატაცებული ამ კვარი ფიქრებით, როგორც უცრად იმას შემოესმა ქვევიდამ კენესა. ჩაიხედა ქვევით და დაინახა ემაწვილის ტიტველა ფესი, აზრის უმაღლესი ჩაიჭრა ქვევით და ნახა, რომ კლდის ქვეშეში ამოსულ ერთადერთი დიდი ტეიხ მიწაში ემინა წითლად სახე ატრეცილს გიგუას, გახარებულმა გოგიამ მოინახა ქუდი, გადაიწერა ჰირჯვარი და ფრთხილად დაადო შუბლზედ სელი; შუბლი ცეცხლივით ცხელი იყო. გოგია მიხვდა, რომ იმისი შვილი დასიცხულიყო. იმისი შემოფრეწილი ტანისამოსი და დაკაწრული ხელ-ფესი აშკარად ამტკიცებდნენ, რომ მას ბევრი წვალეა გამოეარნა. იმის სახესედა ესლაც, როდესაც მას ემინა, ისატებოდა ის ძლიერი. ტანჯვა, რომელსაც მასზედ რაღაცა პატვისაცემი გამომეტყველება აღებეჭდა. გოგია წამოდგა და დააკვირდა თავის შვილს, მთელი იმ დროის განმავლობაში, როდესაც ის გამოვიდა შინ, სხვა აზრს არ გაუვლია იმის თავში გარდა შვილის ჰოვნისა. მართლა და რაღა რჩებოდა ამ უბედურს, წვალეულს და ბედუკუდმართს მამას ამ ქვეუნასედა გიგუას მეტი?

მთელი კაცობრიობა სცოცხლოდა მარტო იმე-
დით და მგონია არ მოიძებნება ისეთი კაცი, რომელსაც იგი არ შეჩვენოდეს. და თუ მართალია, რომ „მაშა შვილში განახლებოდა“; მაშადვილად წარმოსადგენია, რომ გოგიამ უველა თავისი გაქარწელებული იმედები გადაიტანა თავის ერთადერთს შვილს გიგუასედა. ამიტომაც მინამ ის დაკარგული იყო, მას ორნაირი მწუხარება სტანჯავდა: ერთი შვილის დაკარგვა და მეორე მასი სიცოცხლის ბურჯის უკანასკნელი იმედების გაქარწელება და როდესაც იმან შვილი იპოვნა, ჰირველი იმისი განძრახვა, რასაკვირველია, ის იქმნებოდა, რომ როგორმე ეშველა შვილისთვის, მაგრამ ის შეეენა იმისმა სახის გამომეტყველობამ, რომელიც ნახევარ ძალში ჭკუის დიდ მუშაობასა ჰსატავდა. გოგია მიხვდა რაზედაც მუშაობდა იმისი შვილის მშენიერი თავი და აზრის უმაღლესად ავლო თავი თავის წარსულს ცხოვრებას, წინა დღის საღამოს და იმ დღის შემთხვევას, — და დარწმუნდა, რომ მიხესი უველა ამისა იყო მურიას გაცდება. მიხვდა იმასაც, რომ გიგუა გაჯავრებული უნდა ეოფილიყო მამასედაც, რაღაცანაც აღბად იმასაცა სთვლიდა მურიას გაცდებაში დამნაშავედ. გოგია თავის შვილს კარგად იცნობდა და ამიტომ მწარე ოხვრა ამოუშვა გულიდამ, როდესაც გადაჭრით, უთხრა თავის თავს, რომ მის წინ მწოლარე შვილი მისთვის ჯერ კიდევ ნაზონი არ იყო, ის იყო წამოსული მურიას საძებნელად და მინამ არ შესდგამდა ფესს შინ, მინამ მას არ იპოვნიდა. კეთილი, თუ მურია მოიძებნებოდა — მაშინ შეიძლებოდა გიგუას შინ წაყვანა; წინააღმდეგ შემთხვევაში კი გოგიამ არ იცოდა, როგორ გათავადებოდა ეს საქმე. როგორც კაცმა, მან გულში განუსიარა მას მწუხარება, როგორც მამამ — გადასჭრა, არას გსით არ გაემო სელიდამ თავის

კინტო

(გულზნი ა. ცაგარელს)

ვისი შვილი და აი იმან მთრთოლვარის გულ-
ლით გასწია წელიწადი, დასველა თავისი წი-
თელი ხელსახოცი და დაადო შუბლზედ. გი-
გუამ გასწილა თვალები და გაკვირვებული შე-
ხედა მას.

— შვილო, უთხარი მამას, დაუწუო გო-
გიამ, რად წამოხვედი შინიდან?

რადღაცა მრისხანების ელვამ გაურბინა გი-
გიგუას მოღრუბლულს სახეზედ ამ კითხვის
შემდეგ, ათას-ნაირად შეეკეტა მას სახის კანი,
და ერთად-ერთი მისი სახე ბევრს რასმე ამბო-
ბდა. ეველას ერთად როგორ იტყოდა იმისი
ერთი ზირი და ამიტომ ვერ გასცა ჰასუსი,
მხოლოდ შუბლიდან აღებული ხელსახოცი ძა-
ლით გადასტეორცნა შორს.

— შვილო! უთხარი მამას, თითქმის ტი-
რილით გაუძეორა გოგიამ, რად წამოხვედი
შინიდან?..

საშინელი უხვ-ცრემლიანი ხარხარი მოჭე-
ვა გოგიას ამ სიტყვებს, რომლებმაც სრუ-
ლიად დაარწმუნეს გიგუა, რომ თუ მის მამას
არ მიუღია მონაწილეობა მუწიას გაგდებაში,
იმას სცოდნია მანც ეს ამბავი და არაფრით
არ შეუძლია ძაღლის გაგდება.

— მაშ შენც იცი, გოგი, რომ მუწია
გაგდებულია?!—სთქვა თითქოს დაშვიდებულმა
გიგუამ—შენც იცი!? მაშ მშვიდობით შენ მე ვე-
ღარა მნახავ!—და მარდად ზევითკენ გასწია.

ა. რევიშვილი.

(შემდეგი იქნება)

რას მიყურებ, კინტო რომ ვარ ობოლი,
მეც მყავს ჩემი ამხანაგი და ტოლი;
რას მიბღვერი, ზურგს მიგიდევს ხელები.
ჩემს ჰამქარში მეც კაცად ვიხსენები.

—
აქაო და რომ სერთუკი გაცვია,
იმითი ხარ გულადი, მამაცია?
მით იწუნებ ყარაჩოღულს ბიჭუას
და ეძახი ბრიყვს, სულელს და გიჟიას?

—
მე რათ მინდა შენი ბაღნი მუზიკა,
ტანცი, ვალსი, მაზურკები და პოლკა,—
მირჩენია ძუპრიას ბაღაგურზედ
ლოთიანად დავხტებოდე ბუქნაზედ.

—
მე რათ მინდა შენი ბლამანყეები,
ტიურნურებით, კორსეტებით დამები,—
მირჩენია გლეხის გოგო, გომბიო,
მრთი ჯამი სუფთა ნიგვზით ლობიო.

—
მე რათ მინდა გიმნაზია, დავთარი,
ჩემი სწავლა არის შვითან-ბაზარი...
მფლს ვიწურავ, ფულს ვიგებ, ხილს ვატარებ,
მიქეიფებ—ჩემს თავს მეფეს ვადარებ.

—
შენ კლუბებში გასწი, იხეტიალე,
მე ცხოვრება ჰარამად ატრიალე;
მე სიფათი ფარისევლად იცვალე...
შულის დარღში მოკვდი და მიიცვალე.

—
მრთაჭალას მივალ, მიმიხაროან,
იქ კოკობი ძმა-ბიჭები არიან;
არც მე ვაწყენ, არც ისინი მაწყენენ,
მურაზები ემხიანად მალხენენ.

—
წადი, გასწი ადრინდელგებრ ილხინე...
არ მოვიწყენ, ვიდრე გვერდთ მაქვს საღვინე.
ძახურს ღვინოში დამბალი და სველი,
ტკბილს დუღუკთან იმას ვუცდი, მას ველი!

ბედის წყარო



ამ დაგაშრო, შე ოხერო
ლარიბების ბედის წყარო?!
ამოდუღდი, რომ ქვეყანა
მრთ-ნაირად გაახარო.

მე გულსა მწვავს ეს სოფელი,
მრ-ნაირად გაყოფილი:
ბედით ჩაგრულს უღეთოთ სტანჯავს
თავის ბედით კმაყოფილი!

ზოგი ხარობს. და ზოგი-კი
ბნელს მარხია, როგორც ჭური...
და ამ სოფელსა ვაგლახი;
„ზაუწიეს სამსახური!“

ი. დ.

თეატრი და მუზიკა

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 21-ს ნოემბერს ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა: „სადავო მფლობელობა“, კომ. ვ-ს მოქ., გადმოკ. დ. მრისთავისაგან და ერთ-მოქმედებიანი ვოდეილი „ცელქები“. საერთოდ ყველამ კარგად ითამაშეს, განსაკუთრებით ბ. ვ. აბაშიძემ და ბ. მოხევემ ვოდეილში, გარდა ბ. ძ. მაქსიმოვისა, რომელიც არ ვიცი, წარმოდგენის დღეს მშვიერი მოდის ხოლმე, — თუ რა არის, რომ მთელს წარმოდგენაზედ სულ ათი სიტყვა არა ხედება და იმასაც თვითონა ჰყლაპავს, — სწორე გითხრათ ეს ვერაფერი ქცევა ბ. მაქსიმოვისგან; საშინელი გონება დახშული ახალ-გაზდა კაცი უნდა იყოს, რომ ათი სიტყვა ვერ დაისწავლოს, მით უფრო რომ უსწავლელობით ანსამბლს აფუჭებს. ამ უკანასკნელს წარმოდგენაზედ ძალიან ცოტა ხალხი დაესწრო.

ჭეირას, 24-ს ნოემბერს, წარმოადგინეს „დამნაშავეის ოჯახი“, დრამა ვ-ს მოქ. ჯიოკომეტისა, თარ. ივ. ჯაჯანაშვილისაგან. ეს პიესა ყველა ევროპიულს ენებზედ არის გადათარგმნილი და არა მცირედი ადგილი უჭირავს ამ ხალხოსნობის რეპერტუარში; აგერ ეს ორი-სამი წელიწადია რაც ქართულს ენაზედაც გადითარგმნა და თამაშობენ. მით უფრო საყურადღებოა, რომ აქ, ამ პიესაში საერთო, კაცობრიული ტიპებია დახატული, რომელიც ყველა

ეროვნების კაცს შეეხება; თუმცა, ვინაშნაღმრთო საუკუნოები აქვს დახატული, როდესაც იზიუტების დრო მეფობდა. ამ პიესაში მკითხველი ორს უკიდურესობასა ხედავს: თქვენ თვალ წინ გიდგათ უსუსური ბავში, რომელიც ჯერ სოფლის წაღმა უკულმა ბრუნვას სიცოცხლე არ მოუწამლავს, იგი სცხოვრობს მხოლოდ ოცნებით, რომელიც როგორათაც ანგელოზი ისე დაჭირნავს წეცაში. ეს გახლავთ ემმა (მ. საფ. აბაშიძისა) ორა ტანჯული მშობელის შვილი: როზალიასი და ძორარადასი.

მეტის სინამდვილით იყო წარმოდგენილი ეს ტიპი მ. საფ. აბაშიძისაგან, ყოველივე თვისი თვისებების წყობილებათ.

როზალია (ქ. ანდრონიკაშვილისა), რომელიც ოთხს დიდს გარემოებას ებრძოლება, მეტად დრამატიულია იმის მდგომარეობა; პირველი როგორც ცოლი დამნაშავეისა, ღრღნის და სტანჯავს ქმრის უბედურება; მეორე რომ იგი სცხოვრობს თავის ღვიძლს შვილთან, მაგრამ გარემოების გამო აყრილი აქვს ყოველივე მშობლიური ღირსება, — ეს აზრი განუშორებლივ სტანჯავს და არ აძლევს მოსვენებას; მესამე, რამ იმის წინააღმდეგ მოქმედობს მონასტრის წინამძღვარი მონსინიორი (მ. აბაშიძე), რომელიც ერთი-ათად უმატებს ტანჯვებს და ცდილობს თავის საზიზღარი აზრების განხორციელებას; მეოთხე, როდესაც ქმარი ბრუნდება საპატიმროდგან და რომელიც ცხოვრების ანგარაშსა სთხოვს: ქალს და როგორც ცოლს, თავის შეურყეველს პატიოსნებას, აი, ამ უსუსურს გამოუცდელს ქალს რამოდენი საშინელი გარემოებანი უბრუნავენ გულში და უნდა პასუხი მისცეს. ყოველივე ეს უმთავრესი გარემოებანი უნდა დაიცოს მსახიობმა და შეასრულა კიდევ ქ. ანდრონიკაშვილისამ დახატულებით, რომ ცოტა როლის სწავლაში არ ეკოჭლნა.

ძორარადო ამ პიესის გმირია (ბ. ალექ.-მესხიევი). ამ პირს ორი ცხოვრების პერიოდი აქვს: პირველი, როდესაც საპატიმროში ზის და მეორე, როცა თავისუფლებას პოულობს, — ეს ორივე უმთავრესი მოვლენანი, მეტის სინამდვილით შეუგნიაბ. ალექ.-მესხიევს. როდესაც შემთხვევით ძორარადო პოულობს თავის ცოლ-შვილს, როდესაც ცოლ-ქმარი ერთმანერთს დანაშაულობას აპატიებენ და დიდხანს ჩაკრულნი ერთმანერთს ეხვევიან, აქ იმას ყოველივე უბედურება ავიწყდება, ავიწყდება თოთხმეტის წლობითი ტყვეობა და ამ ერთს საათში იგი ბედნიერია, ეს მეორე პერიოდი ბედნიერის საათისა, მეტად ნამდვილად და რეალურად იყო გამოხატული ბ. მსა-



ნეკროლოგი

† ი. ზ. კოპაძე

ხიობისაგან. იმის მელოდიურის ხმიდან გამოისმო-
და, როგორც შენდობა და ბედნიერება, აგრეთვე
ტანჯვა და გულის გოდება.

3. ალექსეევ-მესხიევმა მეტად ხელოვნუ-
რად დახატა ძორჩადოს შმაგი და ენებათა ლელ-
ვით სავსე ხასიათი, რომელიც იმის დაბადებითვე
ხასიათს შეადგენენ. მით უფრო შესანიშნავნი არი-
ან ორი გარემოებანი: პირველი, როცა თავის ქალს
აღდას ელაპარაკება და შინჯავს. ბ. ალექ. მესხი-
ევმა მეტის სინამდვილით დახატა კაცის წინა
მგრძობიერი მშობლიური ინსტიქტი. იმის გული-
დგან გამოისმოდა ტირილი, ხან სასოწარკვეთილე-
ბითი თხოვნა, ხან საშინელი მღელვარება, რომელ-
საც იქვენულობა სძრავდა. მეორე გარემოება, რო-
დესაც საწამლავს სევას და საშინელის სიკვდილითა
კვდება; უკანასკნელი ლაპარაკი თავის შვილს მშმას-
თან, რომელიც ისრე კანონიერად დახატა მსახიობ-
მა, რომ თითქოს თავის სიცოცხლეს იმის მუჭაში
აძლევდა, იტანჯებოდა იდუმლად და ენანებოდა
ამ მშვენიერი არსების მუდმივი განშორება. რაიც
შეეხება სიკვდილს, სრულიად კანონიერი იყო, რო-
გორც ფიზიოლოგიურად, აგრეთვე ფსიხიკურად,—ერ-
თი სიტყვით კანონიერად დაგვიხატა ძორჩადოს
ბუნებითი ხასიათი.

აგრეთვე რიგიანად წარმოადგინა ბ. ვ. აბაში-
ძემ მონასტრის იზიუტის წინამძღვრის როლი და
დანარჩენთ მსახიობთაც არა უჭირდათრა. ამ უკანას-
კნელს წარმოდგენიდან მაყურებელნი მეტად კმა-
ყოფილნი წავიდნენ.

ი. კ—ლი.

უწყალო სიკვდილმა 18 ნოემბერს წაგვართვა
ახალციხის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტო-
რი ივანე ზურაბის ძე კოპაძე. განსვენებულა ეკუ-
თნოდა იმ გვარ პატიოსან ხალხთა რაცხეს, რო-
მელნიც ერთობ ცოტანი არიან ჩვენს საქართვე-
ლოში. როგორც ინსპექტორი, იგი მხურვალეთ
ასრულებდა თავის მოვალეობას და კარგს ნიადაგ-
ზედაც დააყენა მისდამი ბარებული სასწავლებელი
და როგორც კაცი, იგი იყო სინიდიისიანი და პატი-
ოსნებით სავსე, ამისათვის განსვენებული საყვარე-
ლი იყო არა მარტო ახალციხის ქართველთა საზო-
გადოებისათვის, არამედ სომეხთა, რუსთა და სხვათა
საზოგადოებისათვისაც. ღიახ, სამწუხაროა ამ გვარი
კაცის დაკარგვა საზოგადოდ ჩვენთვის და კერ-
ძოდ ჩვენ ახალციხელებისათვის, სადაც ერთობ
იშვითად შეხვდებით პატიოსნებით განმსჭვალულს
და კეთილ-სინიდიისიანს პირს. და თუ მხედველობა-
ში მივიღებთ მისს პატიოსნურს ქცევას მოსწა-
ვლეთადმი, განსაკუთრებით შეუძლებელთადმი, რო-
მელთაც მატერიალურადაც ზოგიერთ შემთხვევაში
ეხმარებოდა,—მაშინ უნებლიედ წარმოსთქვავს ყო-
ველი პატიოსანი მოყვასთ მოყვარე: „დიდება და
პატივი გვამსა შენსა, უღმობელ ბედისაგან საუკუ-
ნოდ მოშორებულა, ივანე ზურაბის ძეგ!...“

როგორც განსვენებაზე, აგრეთვე საყდარშიაც,
დიდ-ძალი ხალხი დაესწრო და დიდის მწუხარებით
და გლოვით მიაბარეს გაუმადლარს მიწას მისი გვამი.
ბულითადს მწუხარებას განუჩხადებთ მისს მწუ-
ხარე მშობელთ ამ გვარის შეილის დაკარგვისათვის.

შემძლილი სიუვარულისგან *)

დასამახუთს აქცად

თხზულება ღონ მანუელ ტამაისი და ბაუსისა.

სცენა VIII

(შემდეგი *)

დედოფალი, მემკე დახა ელვირა, ზაყი და ცოტა სხის
შემდეგ დახა ჯეჯი.

დედოფალი. დღეს ვიცან მე ისა: ეხლა კი
შემიძლიან ვერწმუნო. მადლობასა გწირავ, მეუფეო,
მადლობას!

ელვირა. (შემოდის) ეს რას ეხედამ, მარტოკა
ბრძანდებით?

*) იხილე «თეატრი» № 14.

შაბათს, 23 ნოემბერს თბილისის თეატრში
გამართულმა კონცერტმა, პირველი კლასიკური გი-
მნაზიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ, დიდ-
ძალი ხალხი მიიზიდა. თეატრი მთლად გაქვდილი
იყო. კონცერტმაც ხინებულად ჩაიარა. შველა არ-
ტისტები მშვენიერად გალობდნენ. კონცერტის
გარდა ერთი ვოდვეილიც წარმოადგინეს „Побѣди-
телей не судятъ“. ამ ვოდვეილში ხინებულად
შეასრულეს თავიანთი როლები ქალ. სვაბოდინა-
ბარიშევამ და ბატ. კოსტიუკოვმა. ხარჯს გარდა
700 მანეთამდის ფული ღარიბთ ღარიბ მოსწავლეთ.

დედოფალი. ჰო, მღვირა!

ელვირა. და როგორცა ვხედამ მხიარულადაცა ბრძანდებით?

დედოფალი. დამწვიდებულა ვარ, ჩემი ეჭვი ტყუილი გამოდგა.

ელვირა. მხლა ჩემი რიგია გისაყვედუროთ, დედოფალო!

დედოფალი. ნუ, ნუ, დაანებე საყვედურს თავი. ზაძღვე სიტყვას, რომ ეჭვიანობას თავს დავანებებ.

ელვირა. (იცინის) ვერწმუნო თქვენ სიტყვას?

დედოფალი. უნ გაიცინე და მე კი შეეპირულებ ჩემს დაპირებას.

ელვირა. ბერნარმა მოგახსენათ, რომ აპარტამენტში ღონ ალვარი გიცდითო, რომლისთვისაც, აუღენცია დაგინიშნავთ.

დედოფალი. მისი ნახვის მოხარული ვარ, უთხარი რომ ამ ოთახში შემოიყვანონ.

ელვირა. (მიდის კარებთან მარჯვნივ და ნიშანს აძლევს; შემოვა გენსარი, რომელსაც ჩუმი და დასაც კუბუნა და შუა კარებიდან გავა) ზადავეცი თქვენი ბრძანება.

დედოფალი. ახ, მღვირა, უნ უნდა იცოდე რა მშვენიერი ვაჟ-კაცი იყო, როდესაც მე მაგას ვიცნობდი. შეტყველია, რაიმე მოწყალების თხოვნა უნდა და მეც ყოველს მის თხოვნას შევიწყნარებ. ღღეს მე მინდა, რომ სულ კეთილი საქმე ვაკეთო. როდესაც კაცი ბედნიერია, იმას უნდა რომ ყველანი ბედნიერნი იყვნენ.

ღონ ალვარი. (შუა კარებში გაქოჩნდება) თუ რომ თქვენი დიდებულება მიბოძებს ნებას... (შემოდის დედოფლის ნიშანსე და მოშორებით დგება).

დედოფალი. მე თქვენი ნახვით ძალიან გავიხარე, კაპიტანო.

ღონ ალვარი. (თავისთვის) ეს რა მემართება!

დედოფალი. მე შევიტყე, რომ თქვენ იტალიაში ყოფილხართ.

ღონ ალვარი. დიახ, იტალიაში ვიბრძოდი ისპანიის მტრებთან!

დედოფალი. გონჯალგო პორდუანელი მთელს ქვეყანაზე პირველი სარდალია.

ღონ ალვარი. ოჰ, იმას რომ შეეძლოს თქვენი დიდებულებისაგან წარმოთქმული ქების გაგონება?

დედოფალი. მე იმას კიდევ ვახსოვარ?

ღონ ალვარი. და განა ვის დაავიწყდება უსაყვარელესი ქალი ჩვენი დედოფალი იზაბელასი?

დედოფალი. დიახ, მე მას ძალიან უყვარდი, გახსოვთ—რა ანგელოზის ღიმილით შემახსენა ხოლმე დიდი-დედას, რადგანაც მე მას ძალიან ვგვანდი.

ღონ ალვარი. იმ დალოცვილი ადამიანისაგან სიტყვა არ გამიგონია, რომ მესხიერებაში არ ჩამრჩენიყვეს.

დედოფალი. მისმა გარდაცვალებამ ძრიელ შემაწუხა, კაპიტანო.

ღონ ალვარი. იტალიაში სარდალი არა ყოფილა, რომ სავალალოდ არ დარჩენიყო...

დედოფალი. თქვენვე განსაჯეთ, კაპიტანო, ჩემი მწუხარება: მე არ დავსწრებივარ იმის სიკვდილის ჟამს და მისგან უკანასკნელი დალოცვა არ მომისმენია. მართი იმედი-და ახარებს ჩემს გულს: მისი სული პირ-და-პირ სამოთხეში გაფრინდებოდა.

ღონ ალვარი. (თავისთვის) როგორ არ გეყვარება იგი.

დედოფალი. თქვენი მამაცობა და ჩემი მშობლების სამსახურში ერთგულება, ჯილდოს ღირსათ გხდინა. ითხოვე რამე, ღონ ალვარო.

ღონ ალვარი. ჩემთვის დიდი ბედნიერება იქნებოდა, მთლად ჩემი სიცოცხლე თქვენი დიდებულების სამსახურში გამეტარებინა.

დედოფალი. ხვალ ბურგოსში მივეღვართ და იქ პონეტაბლიის სასახლეში ჩამოვტებით. თქვენც თავიდან არ მოგიშორებთ. მეფე არ გინახავთ?

ღონ ალვარი. მე არასოდესაც არ მინახამს იგი.

დედოფალი. როგორ, ტუდელოში სცხოვრებდე და მეფე...

ღონ ალვარი. მე ტუდელოში არა ვცხოვრობ, დედოფალო.

დედოფალი. მაშ ახლო სადმე ქალაქში თუ სცხოვრობ?

ღონ ალვარი. მე ვცხოვრობ ამ ქალაქის ახლო მდებარე სასტუმროში; ჩემმა საშინელმა ავად-მყოფობამ აქ ორ თვემდის მომაცდევინა.

დედოფალი. (წამოადგება) სასტუმროში? ტელედოს რომ ეძახიან, იქ ხომ არა?

ღონ ალვარი. სწორეთ იქ.

დედოფალი. იქ რომ ორი რაინდი დაიარება არ გინახავთ?

ღონ ალვარი. მე ვერ შემეძლო მენახა, რადგანაც ავად-მყოფობისა გამო შინიდან გარედ არ გამოსულვარ. ეს კი გავიგონე, რომ იქ ერთი შლამანდელი დაიარება თურმე.

დედოფალი. რომელიც ისპანიის რაინდთან მოდის მოსალაპარაკებლად?

დონ ალვარი. იქ ზღამანდელი რაინდის მეტი სხვა რაინდი არაეინ დაიარება, იმასაც სხვა მინანი იზიდავს...

დედოფალი. როგორ?

ელვირა. (დედოფალს ჩუმიად) თქვენი დაპირება—რომ აღარ ვიქვევობო?

დედოფალი. (ელვირას) ბაჩუმდი! (ალვარს) მე მსურს გავიგო იმას იქ რა იზიდავს?

დონ ალვარი. (არ იცის რა უპასუხოს) რა იზიდავს?...

დედოფალი. (თავისთვის) არ იცის, რა მიპასუხოს.

დონ ალვარი. არაფერი... არაფერი—რაც რომ თქვენ დიდებულებას შეეხებოდეს.

დედოფალი. მითხარი მართალი, დონ ალვარი, დედოფლებიც ცნობის მოყვარენი არიან.

დონ ალვარი. (გაუბედავად) ბარწმუნებთ, დედოფალო, რომ მეც ნადვილად არა ვიცი-რა.

დედოფალი. სტყუით, კაპიტანო.

დონ ალვარი. ო! (თავისთვის) ძნელი მდგომარეობაა.

დედოფალი. იქ სასტუმროში სცხოვრობს ერთი სოფლელი ლამაზი ქალი და ამ ქალს ჰყვარობს დონ ხუანი.

დონ ალვარი. ტყუილი იქნებოდა, რომ უარ მეყო, რაც თქვენმა დიდებულებამა ბძანა, მაპატიეთ—მე არ ვიცი, რომ თქვენ სუყველაფერი ასე კარგად გექნებოდათ გაგებული.

დედოფალი. მღვთის მშობელო! იგი მატყუებს, მატყუებს იგი!

ელვირა. (ჩუმიად დედოფალს) დედოფალო, მოიგონეთ რომ გიცქერიან!

დედოფალი. მაშ მართალია, ჰა? იქ იმას სიყვარული იზიდავს.

დონ ალვარი. მაცდუნება ჯველობისა, დროებითი გატაცება...

დედოფალი. იცოდეთ, კაპიტანო, თუ თქვენ ამას სტყუით, თქვენი სიცოცხლე განსაცდელში იქნება?

დონ ალვარი. დედოფალო...

დედოფალი. ეგ სიტყვები დავიწყებას მიეცით... მშვიდობით...

დონ ალვარი. მიბოძეთ ნება თქვენ დიდებულებას ხელზე ვუაპბორო.

დედოფალი. ძარგი... წადით (ალვარს ხელს, ხელს მუხლ-მოდრეკილი ჰკოცნის).

დონ ალვარი. (თავისთვის) რას ნიშნავს სუ-

ყველა ეს? ღმერთო ჩემო! ნუ თუ მართლა დედოფალი ჰკუთხე იყვეს შეშლილი? (თავს უკან დააგდის შუა კარებში).

ს ც ე ნ ა IX

დედოფალი და დონა ელვირა

დედოფალი. (ღონე მისდელი დაეცემა სკამზე) ელვირა, ელვირა!

ელვირა. დედოფალო, გული მოიბრუნეთ! ბნებავთ ექიმს დაუძახებ?

დედოფალი. ნუ—მოიცადე, (ასადგომათ წამოიწეკს) შენ სინცოცხლეში გავიგონია მაგისთანა ტყუანა და ურცხვი ადამიანი? მაგ კაცის გამოსახვა ტავად სიტყვაც კი ვერ მომიძებნია. ის საყვარლის სანახავად დაიარება... მეც წავალ იქ... იმის სანახავად.

ელვირა. თქვენა?

დედოფალი. ჰო, მე! მე და შენ წავიდეთ ერთად.

ელვირა. და მაგითი რას გარჩებთ, დედოფალო!

დედოფალი. ჩემთვის ეხლა დარიგებანი და საყვედურები მეტია. დამეთანხმე და გაჩუმდი!

ელვირა. მომისმინეთ, თუ ღმერთი გწამთ...

დედოფალი. მგონი იმ ადამიანის ხმა მესმის, რომელმაც ასეთი შეურაცყოფა მომაცენა?

ელვირა. მეფე!...

დედოფალი. მამიტა მანტილია.

ელვირა. (თავისთვის) რა განსაცდელი მოეწიას ამ ბეჩავ დედა-კაცს?!. (ოთახში გადას მარჯვნივ)

ს ც ე ნ ა X

მეფე და დედოფალი

მეფე. დაპირებისამებრ მოვედი გამოსათხოვლად.

დედოფალი. ნუ სწუხარ ჩემთვის—წადი იქ, სადაც შენი მეფის საღმრთო მოვალეობა მიგიწევს.

მეფე. ჩემთვის სასიამოვნოა, რომ ყოველთვის მაგრე გიხილო ხოლმე...

დედოფალი. შენ ყოველთვის ამ ყოფაში მნახავ ამას იქით... მშვიდობით!...

მეფე. როგორ? შენ არ გინდა შენს მეუღლეს ჯოცო?

დედოფალი. (ჰკოცნის) დიდის სიამოვნებით?

მეფე. შენს თავს ხომ კმაყოფილად და ბედნიერად გრძნობ?

დედოფალი. ხომ ჰხედამ ჩემს ტუჩებზე ღი-
მილს! აბა ბედნიერი როგორ არ ვიქნები იმისთანა
ქმრის ხელში, როგორიც შენა ხარ?

მეფე. ბოლოს ხომ დარწმუნდი შენს შეცდო-
მილებში?

დედოფალი. მე დამნაშავე ვიყავი, ვალდებულ
ამას.

მეფე. (ჭკობის ხელზე) მშვიდობით, ჩემო
ხუანა.

დედოფალი. მშვიდობით, ჩემო ძვირფასო ში-
ლობე! (თავისთვის) მშვიდობით, საზიზღარო! (მეფე
შუა კარებიდან გადის).

ს ც ე ნ ა XI

დედოფალი, მერა დონა ელიზაბეტი.

დედოფალი. მხლა ის ასე ფიქრობს: მოვატ-
ყუე საწყალი დედა-კაცი და თვალთ-მაქცობაც ამის-
თანა უნდაო; ფიქრობს ამას და მხიარული და ბედ-
ნიერი ეხვევა თავის სატრფოს... მე თითქო იმათ
ერთად ვხედავ, ვხედავ—თუ იგინი როგორ ჩასჩე-
რებიან ერთმანერთს თვალეში, უჭერენ ერთმანერთს
ხელებს და სუნთქამენ ურთი-ერთობითი სიყვარუ-
ლით ალგზნებულნი. მალე ორივეს თვალეები ჩემკენ
დაიწყებენ მზერას, იმათი ხელები მალე გაიშლებიან
პატიობის სახვეწნელად. მათი სულთქმა მალე გარ-
დაიქცევა ელდათ. ეს შენვე გწადიან და, ვცადოთ
ბრძოლა! მე შენ გდევნი ყველგან, ერთს წუთსაც
არ მოგისვენებ და სუყველა კმაყოფილებას ჩაგიშ-
ხამებ. გეფიცები ღმერთსა და მის წმინდანებს, რომ
მე ამ კაცს არ დავიწყებდი! (დონა ელიზაბეტი, რა-
მკლასაც მანტილითი შემოაქვს) წავიდეთ!...

ელიზაბეტი. უსათუოდა გსურთ?...
ა. ნ — თ — მე.

დედოფალი. მამყე მე.

ელიზაბეტი. მანამდის მაინც მოიცადეთ, მინამ
ტახტრევენს მოამზადებდენ.

დედოფალი. ბინდა—რომ მეფის ჯაშუსებმა
გვიცნონ და მეფე გაათხოილონ? ჩვენ ამ კარებიდ-
გან გავიდეთ (მარჯვნივ კარებზე უჩვენებს) და ფეხით
წავიდეთ.

ელიზაბეტი. ფეხით? თქვენ რომ ეგრე სუსტათა
ბრძანდებით.

დედოფალი. მე ვარ ეხლა სუსტად? ამ დედა-
კაცმა თვითონაც არ იცის, რას ამბობს.

ელიზაბეტი. მსაც ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენ
შუბლს გვირგვინი ამშვენებს.

დედოფალი. ჰო, ჰო, ეხლა დროა ჩემ გულ-
თან გვირგვინზე ლაპარაკი.

ელიზაბეტი. დედოფლობას დედა-კაცობაზე მალლა
უნდა აყენებდეთ.

დედოფალი. მხლა მე ექვიანი დედა-კაცი ვარ
და არა დედოფალი.

ელიზაბეტი. მარჯალიეო ღმერთო, შენ დაგვიფარე!

დედოფალი. მე მარტოკა წავალ.

ელიზაბეტი. არა... მეც მზათავარ თან წამოგყევი...

დედოფალი. წავიდეთ, გავიქაროთ, მოვასწ-
როთ ერთად ბედნიერ შეყვარებულთ! წავიდეთ! შენ
დაინახე რომ იგინი ისე გაიფრთხილებენ, როგორც
არწივისაგან შემინებული მტრედები (გადას მუორე
შლანის მუორე კარებში მარჯვნივ).

(დასასრული პირველი მოქმედებისა)

რედაქტორი და გამომცემელი გ. აბაშიძე.

ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА ЕЖЕДНЕВНУЮ ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ

„КАВКАЗЪ“

на 1886 годъ (41-й годъ изданія).

Въ 1886 году газета „КАВКАЗЪ“ будетъ выходить по
прежней программѣ и подъ прежнею редакціею ежедневно
не исключая и понедѣльниковъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА.

съ доставкою въ Тифлисъ.

СЪ ПЕРЕСЫЛКОЮ

по Имперіи

по почтовому союзу

На годъ . . . 11 р. 50 к.

13 р. 18 р. 40 к.

„ полгода. 6 р. — „

7 р. 10 р. — „

„ 3 мѣсяца. 3 р. 50 „

4 р. 6 р. — „

„ 1 мѣсяць. р. 50 к.

2 р. 1 р. — „

Подписка принимается исключительно въ Конторѣ редакціи. Тифлисъ,
уголь Головинскаго проспекта и Бяратинской улицы. домъ Ротинава.
Для иногор. адресовать: Тифлисъ. Въ Редакцію газеты „КАВКАЗЪ“

ОБРАЗОВАННАЯ

особа (ино-
странка, нѣм-
ка), прѣхавшая изъ Москвы, желаетъ получить
мѣсто въ дѣтямъ или быть компаньонкою:
Михайловская улица, Петербургскіе номера,
№ 4.

ს უ რ ა თ ე ბ ი

ჩვენი პოეტების

აბაკი წამოთლისა და ა. ჯავახიანი

ისელება ზრიგოლ ჩარკვიანის წიგნის მალაზიში.

უახი ჩინებულ ქალღმრთელ მართი აბაში